

შპს „ნიკე 2009“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, გორის საგადასახადო ინსპექცია ხაშურის მუნიციპალიტეტი 13,02,2008წ ს/ნ 243916615 კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ.ხაშური იმერეთის ქ. #143, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ღონღაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/557001006994. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სავაჭრო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასზე ნაკლებია, მინიმალურისა) იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის

დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებული ამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე

ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში		125318.98	469672.51
ფული საბანკო ანგარიშებზე		11358.12	67800.2
სულ ჯამი		136677.1	537472.71

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მოთხოვნები მომწოდებელს და მომსახურებელს 1		559009	461551.62
მოთხოვნები ბინების მიწოდებელს		541845.31	221060
სულ ჯამი		1100854.31	682611.62

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		0	68135.6
სულ ჯამი		0	68135.6

8. მარაგები

მარაგების ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		1877088.5	1949669.59
სულ ჯამი		1877088.5	1949669.59

9. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები		-	61301.29
სულ ჯამი			61301.29

10. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
არამატერიალური აქტივები		7735.32	7735.32
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		- 7 672.90	- 6 923.80
სულ ჯამი		62.42	811.52

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2019	50000	163160	39693	42582	781495	182461	1259391
დამატება	25000	9957	6670			1102	
გასვლა		4237			501458		
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	25000	168880	46363	42582	280037	183563	746425
ცვეთა							
ბალანსი 01 იანვარი 2019		133055	32024	15208	208399	179237	567923
წლის დარიცხული ცვეთა		13375	4238	6083	27027	908	51631
გასვლა		2895			221424		
ბალანსი 31 დეკემბერი 2019		146430	36262	21291	235426	180145	619554

ნარჩენი
ღირებულება

01.იანვარი 2018	30105	7669	27374	573096	3224	641468
31 დეკემბერი 2019წ	25345	10101	21291	266035	3418	326190

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	424 439.75	467 314.35
არარეზიდენტი მომწ. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	20 938.97	89 621.38
მიღებული ავანსები		-
მშენებლობის ავანსი	113 572.72	308 130.40
სულ ჯამი	558951.44	865066.13

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი ხელფასები	267 418.18	104 876.24
სულ ჯამი	267418.18	104876.24

14. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამომუშავებელი შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
გადავადებული შემოსავალი	-	148 459.40
სულ ჯამი		148459.4

15. სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოკლევადიანი სესხები	1935503.3	2 171 942.27

სულ ჯამი		1935503.3	2171942.27

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		200	200.00
სულ ჯამი		200	200

17. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

		31.12.2019	31.12.2018
მოგება/ ზარალი			
გაუნაწილებელი მოგება		703 802.92	771 260.72
დაუფარავი ზარალი			-302360.81
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი			189 448.22
სულ ჯამი		703802.92	658348.13

18. საქონლიდან გაყიდვები

		31.12.2019	31.12.2018
საოპერაციო შემოსავლები		8265237.93	7932928
სულ ჯამი		8265238	7932928

19. სხვა შემოსავალი

		31.12.2019	31.12.2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5385.98	589.11
სულ ჯამი		5385.98	589.11

20. დასაქმებულთა ანაზღაურება

		31.12.2019	31.12.2018
შრომის ანაზღაურება		273646.59	290428.31
<i>სულ ჯამი</i>		273646.59	290428.31

21. ცვეთა-ამორტიზაცია

		31.12.2019	31.12.2018
ცვეთა და ამორტიზაცია		52379.91	84278.24
<i>სულ ჯამი</i>		52379.91	84278.24

22. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
საპროცენტო ხარჯები		217464.75	252812.7
<i>სულ ჯამი</i>		217464.75	252812.7

23. იჯარის ხარჯი

		31.12.2019	31.12.2018
საიჯარო ძირა		192000	194266.96
<i>სულ ჯამი</i>		192000	194266.96

25. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
რელიგ.პროდ.თვითღ.(პრ.მფ.და მომს.სფ.საფ.		18396.74	34171.95
სოციალური დანარიცხები		5272.24	45.76
საოფისე ხარჯი		1146.13	33.3
სამეურნეო ხარჯი		2189.76	6354.75
ჯანმრთელობის დაზღვევა		3505.23	2930.59
შრომითი უსაფრთხოების დაზღვევა		1214.41	864.02
საწვავის ხარჯი		36876.3	2977.73
მიწვლინების ხარჯი		3955.8	6698.31
საკონსულტაციო ხარჯები		12193.21	10224.5
სანოტარო ხარჯი		276.76	33874.57
სხვა საგადასახადო ხარჯი		7894.09	60861.22
ბანკის მომსახურების ხარჯი		25426.26	
სხვა საერთო ხარჯი		62344.91	
სულ ჯამი		180691.84	159036.7

25. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

		31.12.2019	31.12.2018
დადებითი საკურსო სხვაობა		-19087.5	-8013.27
უარყოფითი საკურსო სხვაობა		36069.41	13758.12
სულ ჯამი		16981.91	5744.85

26. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

		31.12.2019	31.12.2018
სსკ-თ გამოუქვითავი ხარჯი		307685	73932.29
სულ ჯამი		307685	73932.29

27. სანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

28. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2020 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ღონღაძე:



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

ფინანსური მდგომარეობა 2019წ

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2017
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	136 677	537 473	180 439
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 100 854	682 612	492 512
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7	-	68 136	394 919
მარაგები	8	1 877 089	1 949 670	1 098 015
- მზა პროდუქცია			-	-
- სხვა				
საინვესტიციო ქონება			-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	9	-	61 301	83 240
ბიოლოგიური აქტივები			-	-
- თვითღირებულების მოდელით			-	-
- გადაფასების მოდელით			-	-
გუდვილი			-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	10	62	812	1 878
ძირითადი საშუალებები	11	351 194	691 471	1 131 595
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		3 465 875	3 991 474	3 382 597

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება			-	-
სავაჭრო ვალდებულებები	12	558 951	865 066	582 180
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13	267 418	104 876	28 875
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	14	-	148 459	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	15	1 935 502	2 171 942	2 259 677
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		2 761 872	3 290 344	2 370 732

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (ძმს-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	16	200	200	200
საემისიო შემოსავალი				


გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	703 803	658 348	469 083
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	18	-	42 582	42 582
სულ საკუთარი კაპიტალი		704 003	701 130	511 865
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 465 875	3 991 474	3 382 597

0

0

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონლაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. შაპუაშვილი



[Handwritten signature]

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2019წ

		საანგარიშგებო პერიოდი 2018	
ნეტო ამონაგები		8 265 238	7 932 928
საქონლის გაყიდვიდან	19	8 265 238	7 932 928
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6 591 893)	(6 683 567)
საწყისი მარაგები		1 949 670	1 098 015
მარაგების შესყიდვა		(6 519 312)	(7 535 222)
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები		1 877 089	1 949 670
საერთო მოგება		1 673 345	1 249 361

სხვა შემოსავალი	20	5 386	589
დასაქმებულთა ანაზღაურება	21	(273 647)	(290 428)
ცვეთა და ამორტიზაცია	22	(52 380)	(84 278)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	23	(217 465)	(252 813)
ოჯარის ხარჯი	24	(192 000)	(194 267)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	25	(180 692)	(159 037)
სულ საოპერაციო ხარჯები		(910 797)	(980 234)

საოპერაციო მოგება		762 548	269 127
-------------------	--	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	26	(16 982)	(5 745)
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	27	(307 685)	(73 932)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		437 881	189 450
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		437 881	189 450


სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)			
გადაფასების რეზერვი			

სხვა			-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		437 881	189 450

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		701 130	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(435 009)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		704 003	189 450

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონღაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი



[Handwritten signature]


შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2019წ

			საანგარიშგებო პერიოდი 2018	წინა საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		34 134	357 034	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			-	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(434 930)		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(400 796)		
სავალუტო კურსის ეფექტი				
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		537 473	180 439	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		136 677	537 473	

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონღაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი



[Handwritten signature in blue ink]